ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №259

30 მაისი 2014 წელი ქალაქი ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლისა 1 პუნქტის „ს'“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი“) ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის ნოდარ მიქიაშვილის სახით (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №01-3515 19.05.14წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-10-24)

მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმის გიორგი ვაშაკიძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“) , (მისამართი: ქ.ქუთაისი, 9 აპრილის ქ. №10/31)

ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქ.ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოში არსებულ ავტოსადგომზე ავტომანქანების პარკირების ოპტიმიზაციის მიზნით არსებული შლაგბაუმის დემონტაჟი და ეზოს შემოსასვლელთან მონტაჟი.

1.2 კლასიფიკატორის კოდი –51500000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება თვითთმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

5. მომსახურების გაწევის ვადები

5.1 „ მიმწოდებელი“ ვალდებულია მომსახურეობა განახორციელოს ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარულ დღეში.

5.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 2014 წლის 13 ივნისის ჩათვლით.

6.2 ,,შემსყიდველი"–ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება–ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 მომსახურების გაწევის დასრულების ვადათ ითვლება „შემსყიდველი“ ორგანიზაციის მიერ მომსახურების დასრულების (მიღება-ჩაბარების აქტი) დადასტურების დღე.

6.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება „მიმწოდებლის“ წერილობითი მომართვის საფუძველზე

7.2 „მიმწოდებლის“ წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება - მიღება-ჩაბარების აქტი;

ბ) გაწეული მომსახურების შესაბამისად ამოწერილი სასაქონლო ზედნადები .

7.3. გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს გონივრულ ვადაში მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

– მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები გადაიხდის 100 (ასი) ლარს.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მომწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს ხელმოწერის დღიდან 2014 წლის 13 ივლისამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი „მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი „შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:
ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა № 33033303
ს/კოდი: 212721170

ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

ნოდარ მიქიაშვილი

მიმწოდებელი:
ინდ. მეწარმე
მის: ქ.ქუთაისი, 9 აპრილის ქ. №10/31
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: 220101925
ა/ა №GE87PC0213600100006400
ს/კოდი: 65002011766

ინდ. მეწარმე

გიორგი ვაშაკიძე

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-3515
19 05 2014 წ.

ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს,
ბატონ ლევან კირკიტაძეს

ბატონო ლევან,

ქალაქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული შენობის ეზოში არსებული ავტოსადგომზე ავტომანქანების პარკირების ოპტიმიზაციის მიზნით აუცილებელია შენობის ეზოდან შლაგბაუმის გადატანა ეზოს შემოსასვლელთან. აღნიშნულისთვის 2014 სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში გათვალისწინებულია 300 (სამასი) ლარი.

გთხოვთ დაგვრთოთ ნება, გაფორმებულ იქნას ხელშეკრულება ქალაქ ქუთაისის მერიასა და ინდმეწარმე "გიორგი ვაშაკიძეს" შორის, აღნიშნული მომსახურების შესყიდვაზე.

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

United Cities and Local Governments
Cities Governments Locaux Unis
Ciudadesy Gobiernos localies Unidos

4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (+995 431) 24-54-54. ფაქსი: (995 431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62